დამტკიცებულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის 9 ოქტომბრის წარმომადგენლობითი საბჭოს №6 სხდომის ოქმით

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 2014 წლის 26 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე 2014 წლის 26 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო შედგება 38 წევრისაგან. ფაკულტეტის საბჭოში აირჩევა აკადემიური პერსონალი ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებიდან. ფაკულტეტის საბჭოში შედიან დეკანი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებიც შეადგენენ საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ¼ –ს.“

ბ) დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოში შედის აკადემიური პერსონალის 27 წარმომადგენელი, 10 სტუდენტი და დეკანი.“

გ) დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქაციით: ,,ზ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს დეკანის მოადგილეების კანდიდატურებს;“;

დ) დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,4. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებლივი აქტის არარსებობისას, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე სასწავლო სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი - დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში.“

ე) დებულების მე-13 მუხლის პირველი - მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,, მუხლი 13. დეკანის მოადგილე(ები) და თანაშემწე 1. დეკანის მოადგილეების ძირითადი

ამოცანებია: ა) სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა; ბ) სამეცნიერო კლევების ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა; გ) დეკანის დავალებათა შესრულება.

2. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, საქმიანობის სასწავლო და სამეცნიეროსფეროებში.

3. დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს ჰუმანიტარულმეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს.

4. სასწავლო სფეროში დეკანის მოადგილის ძირითადი ამოცანებია:

ა) სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა;

ბ) სასწავლო საქმიანობის განმახორციელებელი ფაკულტეტის ძირითადი და დამხმარესტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია;

გ) სასწავლო პროცესის განრიგისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვებისმონიტორინგი;

ე) ფაკულტეტის საგანმანათლებლო საქამიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ორგანიზება;

ვ) დეკანის დავალებების შესრულება.

5. სამეცნიერო სფეროში დეკანის მოადგილის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება;

ბ)სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ფაკულტეტის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია;

გ) სტუდენტთა სამეცნიერო წრეების, დოქტორანტთა კოლოკვიუმების და სემინარის მუშაობის კოორდინირება და მონიტორინგი.

დ) ფაკულტეტის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების ორგანიზაციული და ტექნიკური ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

ე)ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადების კოორდინირება

ვ) დეკანის დავალებათა შესრულება.

6. დეკანის მოადგილეს დეკანის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

ვ) დებულების 30-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,13. სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.“;

ზ) დებულების 30-ე მუხლის მე-20 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ) დებულების 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ლ) სლავისტიკის ინსტიტუტში:

ლ.ა) რუსული ენის კათედრა;

ლ.ბ) რუსული ლიტერატურის კათედრა;

ლ.გ) რუსეთის ისტორიის კათედრა;

ლ.დ) სლავური და ენებისა და ლიტერტურების კვლევის ცენტრი.“;

ი) დებულების 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის ,,პ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

კ) დებულების 32-ე მუხლის მე-10 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ი“ ქვეპუნქტი: ,,ი) ეტიმოლოგიური კვლევების ცენტრი.“; 2. ჰუმანირატულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების სხვა ნაწილი დარჩეს უცვლელი.